მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11 **1883—1893** 1—15 ივნისს.



გიორგი რომანოზის ძე ერისთავი.

ზაქარია გიორგის ძე ერისთავი.

თავადი გიორგი ერისთავი და მისი ძე ზაქარია.

თავადი გიორგი ერისთავი იყო შვილი რომანოზ ერისთავისა. დედა გიორგი ერისთავისა იყო მეფის გიორგის ასულის ანასტასიას შვილი. იგი დაიბადა 1812 წელს 12 თებერვალს. თავადი გიორგი სასწავლებელში შესვლამდე მშობლების ოჯახში იზრდებოდა და ოჯახშივე ჰქონდა მას ჩანერგილი გულში თავის მამულის და გვარტომობის სიყვარული. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო მან თბილისის «კეთილშობილთა სასწავლებელში». ხსენებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეს ძალაუნებურად უნდა აერჩია სამხედრო ასპარეზი და გამგზავრებულიყო უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. თავადმა გიორგი ერისთავმაც სწავლა დაამთავრა პეტერბურღის სამხედრო სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ მალე გამოიჩინა მან ნიჭი და მამაცობა სამხედრო წოდებაში და 38 წლისამ მიიღო ღენარლობა და ატამანობა კავკასიის ყაზახის ჯარისა. მრავალს ადგილას ემსახურა იგი მამულს და სახელმწიფოს და ღირსეულადაც იყო დაჯილდოებული მთავრობისაგან. თანამედროვე ქართველი საზოგადოება ბედნიერად სთვლიდა მას, როგორც ატამანს, დამსახურებულს, დიდი წოდების და მამულის პატრონს, მაგრამ მისი ბედნიერი ცხოვრება, როგორც საქმე გვიჩვენებს, სულ სხვაში მდგომარეობდა. ბევრი რამ ჰქონდა მას დაფარული გულში, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება სრულებით ვერ ამჩნევდა. გარდაიცვალა იგი შარშან წინ და თან ჩაიტანა დიდის ხნის გულს ნადები ფიქრი გამოუქვეყნებლად. თავად გიორგი რომანოზის ძეს დარჩა მემკვიდრე ზაქარია, რომელმაც გამოაქვეყნა მამის გულისთქმანი და მტკიცედ აღასრულა ნაანდერძევი განზრახვა...

ჩვენ მრავალ პირთაგან მოგვივიდა წერილები, რომლითაც გვთხოვდენ აქ კეთილ და ქველმომქმედ პირთა ბიოგრაფიულ ცნობებს. ზოგიერთებს კიდეც არ სჯერათ, რომ ამდენა მამული შესწირა ბ. ზაქარია ერისთავმა თავად-აზნაურობის სამეურნეო სკოლას. მართლადაც, ეს რაღაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს გათახსირებულ დროში და ქართველობაში. ჩვენ ვამბობთ ქართველობაში, თორემ სხვა ეროვნებაში ამისთანა შეწირულება არავის არ გააკვირვებს. ასი-ათასის, ორასის და მეტისაც შეწირვა სხვა-და-სხვა საქველმოქმედო მიზნით სხვა თემებში ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენს ქართველობაში კი ისე გაცივებიათ და გაგრილებიათ გული, რომ ცოტა რამ მოკლება, საქველმოქმედო მიზნით ცოდვათ მიაჩნიათ. კაცი თუ შვილებით დატვირთული არის და ღარიბი, ვინ დაძრახავს მას, რომ არაფერი შეწირულება არ დასტოვოს! მაგრამ ჩვენ ვხედავთ უშვილძირო ქართველებს და ძალიან შეძლებულებსაც, რომელთაც გროშიც არ გაუღიათ საქველმოქმედო მიზნით. აიღეთ, მაგალითად, ჩვენ მიერ ზეცამდინ ამაღლებული და ქებული მამულიშვილი გრიგოლ ორბელიანი, მდიდარნი და დარბაისელნი თავადნი: ნესტორ წერეთელი, დიმიტრი გურიელი, მელიქოვი და სხვანი, რა დასტოვეს მათ თავის სახელის მოსახსენებლად?! სრულებით არაფერი. ზოგიერთები იტყოდენ ხოლმე სიკვდილის დროს: ქართულათ დამმარხეთო (ალბათ ქართულ ტანისამოსში?) და ჰფიქრობდნენ დიდ დავალებას უწევდნენ ამით საქართველოს!...

ამისათვის ვიმეორებთ: თ. ზაქარია ერისთავის შეწირულება შესანიშნავი რამ არის. სრული იმედია, რომ ეს შეწირულება რიგიან საფუძველზედ დაყენებული სასურველ ნაყოფს მოიტანს, ხოლო თავადნი გიორგი და ზაქარია ერისთავნი საუკუნო მოსახსენებლად დაშთებიან ქართველ საზოგადოებაში. ნეტავი მათ, ვინაც საზოგადოებას უტოვებს თავის სახეს და სახელს სათაყვანოდ. ჩვენი ვალია, ჩვენო თანამოძმენო, ნიადაგ მოვიხსენებდეთ კეთილის მყოფელთა და ქველმოქმედთა თავის მოძმეთა და მოყვასთა საკეთილდღეოდ. ღმერთმან ინებოს, გამრავლებულიყოს ჩვენში ძველებურად, ჩვენებურად მოძმეთათვის გულშემატკივარნი და სიქველით სახელგანთქმულნი პირნი.

დეკ. დ. ღამბაშიძე

სოფლის რუფოთის ეკკლესიის კურთხევა.

ხალხის კეთილ-დღეობისათვის, სწავლა-წარმატებისათვის, გონებრივ და ზნეობრივ გასვეტაკებისათვის სხვა საზოგადო კეთილ დაწესებულებათა შორის მიუცილებელი ჯ უსაჭიროესი ადგილი უჭირავს ეკკლესიას და სკოლას. ეს ორი საგანი ისე საჭირო არის ჩვენ ქრისტიანეთა სულისა და გონების ასაყვავებლად, როგორც სასმელი და საჭმელი არის საჭირო ჩვენი სხეულის საცოცხლებლად.

ჩვენ ბავშვობიდგანვე ვზრუნავთ, რომ ჩვენი სხეულისათვის რაც შეიძლება სასმელ-საჭმელი მოვიშოვოთ კარგი და მარგებელი და მითი ავაყვაოთ ჩვენი სხეული, ხოლო სულისათვის, გონებრივი და ზნეობრივი გაუმჯობესობისათვის ბევრგან და ბევრჯერ დიდობისასაც გაჩუმებული ვართ, გვავიწყდება რა მაცხოვრის სიტყვები: «ნუ ზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რაჲ ჭამოთ და რაჲ ჭსვათ, ნურცა ხორცთა თქვენისათვის, რაი შეიმოსოთ».

ლამაზად შემკობილი ეკკლესია და რიგიანად მოწყობილი სკოლა ისეთი ნიშანია სულის აყვავებისა—გამდიდრებისა და გონებრივ-ზნეობრივ წარმატებისა, როგორც დიდი ადგილ-მამული ჯ ფუჯი ნივთიერი გამდიდრებისათვის. ბევრს სოფელში შეხვდებით მშვენიერ ორ-სართულიან ქვითკირის და ხის სახლებს და სულ ადვილათ შეგიძლიათ აქვე ნახოთ თითქმის დანგრეული, ნახევრობით თავგადახდილი საყდარი (მაგალ. სოფელ ფარცხნალში მიუხედავათ იმისა, რომ მდვდელი სემინარიელია და ეკ. ფულებიც აქვს, დღემდის ვერ მოუხერხებიათ ეკკლესიის აგება) და სკოლაზედ ხომ სულ ხსენება არ არის. ამ მოვლენის მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ უმთავრესი ნაწილი ჩვენი სხეულისა—სული დაგვივიწყნია და სამაგიეროდ სრული ჩვენი ყურადღება ხორცისათვის მიგვიქცევია.

ამისთანა ანორმალური მოვლენისაგან, ჩვენ- და საბედნიეროდ ჯ სასიხარულოდ, დღეს უმეტესი ნაწილი იმერეთისა განთავისუფლებული არის და მისი მკვიდრნი—მცხოვრებნი სტკბებიან წირვა-ლოცვით ლამაზ გეგმაზედ აგებულ ქვის ეკკლესიებში. სხვათა შორის ჩვენ მეზობელ რუფოთლებსაც აუსრულდათ დიდი ხნის წადილი და 23 წასრულ მაისს ედირსნენ თავის ახალი ეკკლესიის კურთხევას. გაისმა რა ხმა, რომ ეკ-კლესიის კურთხევა იქნება 23 მაისს, ხალხი თითქმის ერთი კვირის წინეთ იკრიბებოდა შორეული სოფლებიდამ სოფ. რუფოთში ჯ კურთხევის დღეს ელოდნენ მოუთმენლად. აი კიდევაც დადგა დღე ეკ. კურთხევისა ჯ ხალხი იმოდენი შეიკრიბა წირვის დაწყებამდის, რომ სატეობა აღარ იყო არც ეკკლესიაში და არც მის დიდს გალავანში. ამ ხალხთა შორის ყურადღებას იქცევდნენ ალისუბნის სამრევლო სკოლის მოწაფენი, რომლებიც რიცხვით 160-ჯ ლამაზად ჩაცმულნი რიგზედ იყვნენ ორ წყებათ დამდგარნი ეკკლესიის დასავლეთის კარებიდგან და ელოდნენ ეპისკოპოსის მობრძანებას და მათგან ლოცვა კურთხევის მიღებას.

დადგა რა წირვის დრო, შეიქნა ზარების რეკა და ცოტა ხნის შემდგომ გამოჩნდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ცხენზედ მჯდომარე; დაინახა თუ არა მათმა მეუფებამ ყმაწვილები, ჩამობრძანდა ცხენიდან და პირმცინარე სახით და ლოცვა-კურთხევით ჩაიარა მოსწავლეებს შუა, ხოლო ეს უკანასკნელნი დაწყობილის ხმით გალობდნენ «მეუფეო ზეცათა»-ს. ამ სახით მათი მეუფება ადგილობითი ბლაღოჩინების მ. ლუკა ჭიპაშვილის, იულიანე აბესაძის

და სხვა სამღვდელო პირთა თანამწირველობით შეუდგა წირვას.

როგორც ზევით მოვიხსენიე, იმოდენი ხალხი დაესწრო ამ დღეს წირვას, რომ ეკლესიაში შესვლა ყოვლად შეუძლებელი იყო მრავალთათვის, ამ რიცხვთა შორის მოუვნენ ალისუბნის სამრევლო სკოლის მოწაფეებიც, რომლებსაც, როგორც შემდგომ შევიტყეთ, განძრახვა ჰქონდათ ეგალობნათ ეკლესიაში; მხოლოდ ერთი მათგანი როგორღაც შემოვიდა ეკლესიაში და თავის დროზედ წაიკითხა მკაფიოდ და გარკვევით სიმღოლო სარწმუნოებისა, რითაც ძრიელ ასიამოვნა ხალხს. წირვის გათავების შემდგომ, ყოვლად სამღვდელო გამობრძანდა ეკლესიის გალავანში, ჩვეულებისამებრ დადგა მაღალ ქვაზედ და წარმოსთქვა თავის ბრძნული სიტყვა, რომელშიაც პირველად მიულოცა ხალხს ახალი ეკლესიის აგება და კურთხევა, ხოლო შემდგომ განუმარტა მსმენელთ იმ დღეს წაკითხული სახარების სიტყვები და შინაარსი, რომელსაც ხალხი ისე ისმენდა და ისეთი სიჩუმე იყო, რომ არ შეიძლია ენით გამოხატვა; მათი მეუფების სიტყვამ, ბევრს მსმენელს, განსაკუთრებით დედაკაცებს, ცრემლები მოგვარა.

სიტყვის გათავების შემდეგ მათ მეუფებას ადგილობითმა მღვდელმა ი. სალაძემ უთხრა შესხმა, რომელშიაც მოიხსენია მათი მეუფების მოღვაწეობა და მათი სასარგებლო სამსახური იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებასა და ეკლესიებისათვის. შემდგომ ამისა ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა თავის ბინაზედ და სადილის მირთმევის შემდგომ დაბრუნდა ქალაქ ქუთაისში.

დამსწრე.

ჩიკაგოში გამართული კოლუმბის მსოფლიო გამოფენა.

1492 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა საშიშარის და თვგამომეტებულის ოკეანეზე მოგზაურობის შემდეგ. ეს დღე შესანიშნავია მითი, რომ მაშინ პირველად დაადგა ფეხი ამ ახალ ქვეყანას ევროპიდგან წასულმა ადამიანმა, აღმოაჩინა ამ დროამდე დამალული უმრავლესობისათვის თითქმის ნახევარი ქვეყანა და ამით უჩვენა განათლებულ კაცობრიობას ფართო სარბიელი გამჯრიახობის და შრომა-მოღვაწეობის გამოსაჩენად. მართლაც, ამ დღიდგან ევროპის ხალხი გაემართა ამ ახალ, დაუმუშავებელ, მდიდარ მხარისაკენ და მიჰყო ხელი შრომით და საქმით გაძლიერებულ ცხოვრებას. ახალ ქვეყანაში დაარსებულმა სახელმწიფოებმა ჯერ ძველ ქვეყნების საფარ ქვეშ იწყო ზრდა-მატება, შემდეგ ეს სამძიმო ტვირთიც აიცილია და ამართა თავისუფლების, დამოუკიდებლობის დროშა. ამ თავისუფალს სარბიელზე, სადაც არც გონებას და არც გარჯას არაფერი არ ეღობებოდა წინ, ხალხმა მალე მიაღწია სასურველ მიზანს და არამც თუ დაეწია ძველის ქვეყნის უგანათლებულესს ქვეყნებს, არამედ წინაც წაუსწრო მათ და ეხლა იგი ითვლება მოწინავე ქვეყანად. ოთხასი წელიწადია მხოლოდ მას აქეთ, რაც კოლუმბმა გასდო ხიდი ძველ ქვეყნებსა და ამერიკას შუა, მაგრამ ამ ოთხასი წლის ზრდა-მატებამაც ნათლად დაუმტკიცა კაცობრიობას, თუ რამდენად ღონიერი და ნაყოფიერია ადამიანის მხნე, გამბედავი და შეუბორკავი საერთო მეცადინეობა.

ამერიკელებმა გადასწყვიტეს იმ შესანიშნავი დღის დღესასწაულობა, როდესაც კოლუმბა აღმოაჩინა ეხლანდელი მათი ქვეყანა და განიზრახეს წელს ოთხასის წლის სახსოვრად მსოფლიო გამოფენის გამართვა.

ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს კიდეც ჯ მაისში გახსნეს ქ. ჩიკაგოში გამოფენა, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა არსად. ჩიკაგოს გამოფენამ გადააჭარბა აქამომდე გამართულ გამოფენებს. ყველაფერი, რითაც კი შეიძლება თავი მოსწონდეს განათლებულ კაცს, საუცხოოდ მოაგვარეს და განახორციელეს. ყველაფერს გამოფენაზე ატყვია დიდი ხელოვნური ნიჭი და მეცნიერული განვითარება გამოცდილებასთან და გემოვნებასთან შეერთებული.

აქ მოყვანილია სურათი მსოფლიო გამოფენის გამგეობის სასახლისა. ეს საუცხოო შენობა შესანიშნავია თავის საგანგებო ხეროთ-მოძღვრობით, სიდიდით და სილამაზით, მაგრამ ეს მხოლოდ მცირეოდენი ნაწილია ყველა იმ გასაკვირველ და სანაქებო შენობებისა, რომლითაც მდიდარია ჩიკაგოს გამოფენა და განცვიფრებაში მოჰყავს აღტაცებული მნახველი.



ჩიკაგოში გამართულ კოლუმბის მსოფლიო გამოფენის გამგეობის სასახლე

ფუფუნება

(გაგრძელება *)

მეორეთ, როგორც ზემორე იყო ნათქომი, ფუფუნება უნდა განეიხილოთ ხალხთა კეთილდღეობის მხრით და ვიკითხოთ: ხელს უწყობს იგი ამ კეთილდღეობას, როგორც ზოგჯერ ამტკიცებენ, თუ არა?

ყველაზე უფრო სასაფრთხო და საშიშარი შემცდარობა აქ არის, ვინც ფუფუნებისთვის იფლანგება, მას ასე ჰგონია, თუ ამით სამსახურს უწევს სხვებს, მეტადრე მომუშავეებს. მთავრობაც კი ხშირად ერწმუნება მათ და უნიშნავს დიდძალ ფულს ცნობილ დიდკაცებს, რათა ამათ უჩვენონ სხვებს მაგალითი მფლანგველობის, რომლისთვისაც გამომჩენებლობა დაურქმევიათ. თვით ელემენტალური ცნობები საპოლიტიკო ეკონომიისა ცხადათ გვიჩვენებს ამ იდეის სიცრუეს.

მრეწველობის წარმატება დამოკიდებულია კაპიტალის (თანხის) გადიდებაზე, კაპიტალი კი შესდგება დაზოგვით. საფუფუნო მფლანგაობა, რაც მოწინააღმდეგეა დაზოგვის, არათუ ხელს არ უწყობს, აფერხებს კიდეეაც მრეწველობის მოძრაობას. საგნის მოთხოვნა კიდეე არ ნიშნავს იმას, ეითომც საშუალება მიგეცეს იმის საწარმოოთ. ვთქოთ, ამ წელს მინდა მე ეიყიდო ხავერდი; მაგრამ იმის შესამზადათ საჭიროა მანქანები და ბევრგვარი მასალა. ჩემი მოთხოვნა როდი იძლევა ამ კაპიტალს. ამას უნდა იძლეოდეს ის, ვინც, ყოლაფრის მოხმარების და შემოხარჯვის ნაცვლათ, მომჭირნეობასაც სწევდა. ამგვარათ ჩვენ სარგებლობა მოგვაქვს მომუშავეეთათვის და ვაძლევთ მათ შეძლებას იმუშაონ მაშინ კი არა, როცა თვითონ ეხმარობთ, არამედ მაშინ, როცა შეძლებას ვაძლევთ იხმაროონ იმ დროს განმავლობაში, როცა აწარმოებენ იარაღებს, მანქანებს და ამ მასალებს ახალის შესამზადებლათ ქარხნებში.

ფუფუნება არა თუ ხელს არ უწყობს მუშის ხელფასის აწევას, პირიქით აბრკოლებს მას. მართლაც და როდის აიწევა ხოლმე მომუშავეეთა ხელფასი?— როცა კაპიტალი დიდდება უფრო სწრაფათ, ვინემ მრაველდებიან მუშები, ან მაშინ, როცა ორი მეპატრონე ერთ მუშაზე ერთმანერთს ეცილებიან. მაგრამ იმის გულისთვის, რომ ორი მეპატრონე დაეცილონ ერთმანერთს ერთის მუშის დაქირავებას შრომის ბაზარში, საჭიროა თვითეულ მათგანს ქონდეს შედგენილი კაპიტალი დაზოგვის საშუალობით. მაშასადამე, დაზოგვა და არა საფუფუნო ხარჯი იძლევა ღონისძიებას. ახალ წარმოებათათვის და უფრო მომეტებულ მუშების საქმეში ჩასაგდებათ. უეჭველია, ძალიან მდიდარ ქვეყნებში ფუფუნება არც აგრე რიგათ აბრკოლებს კაპიტალის გადიდებას, რაკი შემოსავლის სიუხვე ერთსაც უძღვის და მეორესაც. ბედოვლათების გვერდით დაზოგველნიც ბლომათ არიან. ეისაც ოთხი და ხუთი მილიონი შემოსავალი აქვს, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია ბევრგვარი ხურუში დაიშუშოს. და მაინც კიდეე ყოველ წელს გადინარჩუნოს წმინდა შემოსავლითგან. აგერ ინგლისს ყოველწლივ სამი მილიარდით უდიდდება კაპიტალი. ამ ფულს ახმარებენ ახალ-ახალ შემმართებლობათა შექმნას არათუ მარტო ინგლისში, მთელ ქვეყანაშიაც კი. ეჭეს გარეშეა, თუ დანაზოგი უმეტესი ყოფილიყო, მაშინ ხომ საყოველთაო მაწარმოებელის თანხის მოხმარება და ზოგადის წარმოების გადიდება უფრო და უფრო სწრაფათ ზრდაში შეეიდოდა. ეგებ ვინმე შემომესიტყვოს: «იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ ფუფუნება მსველელობას აძლევსო ვაჭრობას». ეს ყველასაგან ცნობილი ჭეშმარიტებაა. ერთი შესანიშნავი ეკონომისტი ამბობს: «როცა გიმნაზიაში ესწავლობდიო, კვირა-უქმობით მიედიოდი ბიძასთან, რომელიც იყო მხიარული და გულმოწყალე კაკი. ერთხელ, როცა ბიძა ჩემმა სადილის გათავებისას გამოცალა ერთი ბოთლი ძველი ღვინო, აიღო და ჭიქები ძირს დაახვეთქა და თქვა: «ეჰ, კაი ის არი, რომ სხვებიც კარგათ ცხოვრობდენო».

ამ ფრაზმა ძაან დააფიქრა გიმნაზიელი, მომავალი ეკონომისტი. «თუ ბიძა ჩემს, ამბობდა იგი თავისს გულში, სწადია მისცეს მუშებს ცხოვრების შეძლება, რატომ არ ამტერევს ბარემ სხვა სასადილო ჭურჭლებსაც, თავის ავეჯეულობას და ფანჯრებს? ხომ ამით უფრო მომეტებულ სამუშაოს მისცემდაო მუშებს". ასე რომ გავყვეთ, მაშინ ხომ უნდა ეიფიქროთ, რომ ნერონი, რომელიც დამღერდა ცეცხლმოდებულ რომის ქალაქს, განმბრძნობილი ყოფილა ჭეშმარიტის ეკანომიური დედა-აზრებით. მეორემ, პარიქელმა ეკონომისტმა თქვა: «ვთქოთ პარიკი ერთ-

*) იხ. «მწყემსი» № 11, 1893 წ.

ბაშათ გადიბუგა. როგორც მოქალაქეს ეს უბედურება უნდა მევაგლახნაო, მაგრამ როგორც ეკონომისტს უნდა გამეხარდესო. ამ ეკონომისტს ეგონა, რომ ეს სასარგებლო იქმნებოდა შრომისათვის, ჯლიქვს წაკრავდა და ძაან წინ წასწევდა მას. ამისთანა დასკვნამდე რომ არ მიხვიდე შეუძლებელია, თუ არ გასინჯე, შრომის შედეგი, არამედ თვითონ შრომა. შრომა მარტო შრომისთვის, ეს ხომ სიზიფობაა. ამ შემთხვევაში საპოლიტიკო ეკონომია იქმნებოდა მეცნიერება წარმოებაზე კი არა, არამედ დოვლათის სპობაზე. აქ არის ერთობ ტლანქი გზადაბნეულობა, რომელიც უნდა ნათლათ გამოაშკარდეს და დაირღვეს.

უნდა მკაცრათ გაარჩიო იგი, რაც ჩანს მისგან, რაც არ ჩანს. ხილული არის ის მუშა, რომელიც ხელახლა აწარმოებს იმას, რაც მოსპობილ იქმნა; უხილავი მეორე მუშა, რომელიც გააკეთებდა სხვა რამ საგანს, და ამ საგანს დასაქმიდენ მას გასაკეთებლათ სწორეთ იმ ფულით, რასაც ახლა აძლევენ პირველ მუშას. ანდაზა ამბობს: ერთი ჭირი მარგებელიაო. მართლაც ერთი რამ სარგებლობა რომ არ მოქონდეს, იმისთანა ცუდი საქმე არ არი. ცხადია, რომ ზემოხსენებულის გიმნაზიელის ბიძა რომ ჭიქებს ამტვრევდა, იგი ამით ხეირს აძლევდა საშუშე ქარხანას, მაგრამ ეს ხარჯი რომ არ გაეწია, მაშინ შეეძლო ეყიდნა სკამები, სტოლი, ან სხვა უფრო ლამაზი ჭიქები, და ამ სახით იგი მუშებს ხელფასსაც შესძენდა და თითონაც საგნებიც გაუბევრდებოდა. მისი ქონება, და მაშასადამე მასთან ერთათ ქვეყნის ქონებაც შეიმატებდა. გადამწვარ შენობების ხელახლა გაშენება რასაკვირველია საქმეს გაუჩენს ბევრ მუშას და ხელოსანს, მაგრამ ამ სახით დანახარჯის ფულით [illegible]იძლებოდა სკოლები გამართულიყო, რამდენიმე [illegible]ის გზა გაყვანილიყო, სხვა შენობები ალგევერსი [illegible] [illegible]მათთვის ახალი ხარჯები უნდა ბულიყო. ახლა კ[illegible] გაიწეროს საზოგადოება[illegible]

ყოველივე ეს კეთილიო, [illegible] გვიკიჟინებენ ჩვენ, მაგრამ მაგ ლამაზ თეორიებით, რომლითაც სათავე აქვსთო თიბაიდელ მეუდაბნოებში, დიოგენის ბოჭკაში და პირდაპირ მომდინარე[illegible]ენ სტოიკებისგან, შიმშილით ამოსწყვეტთო აუარებე[illegible] ხელოსნების და ალებ-მიცემობის ხალხს. გავსინჯო[illegible] ეს შემოსიტყვება ცოცხალ მაგალითზე. ვთქოთ, მდი[illegible]დარი ბანკირი ხარჯავს სადილებზე, ნადიმებზე და მრა[illegible]ალგეარ მეჯლიშებზე წლითი-წლად მილიონებს და მით აქეზებს თავის სტუმრებს კიდევ მეტი დახარჯონ. მოდისტკები, მკერვლები, კანდიტრები, კუაფრები და მეხილეთა მესანუკბარეთა მაღაზიები ამით კარგა ხელს ითბობენ, მცხოვრებნი ალტაცებაში არიან: «ვაჭრობა გაჩაღებულიაო". ვთქოთ ამ დროს გამოჩნდა მქადაგებელი, არა ისე ხათრიანი როგორც ახლა არიან, არამედ გამსჭვალული ძველთა მამათ სიწმიდით და სიმტკიცით. იგი გრგვინავს ფუფუნობის წინაალმდეგ. მას ყურს უპყრობენ, ყველა ჩაგულისხმდა და თვითოეულმა მოინდომა მოქცევა და გასწორება. შესწყდა ნადიმები, აღარ არი მეჯლიშები, ყველგან მეფობს დაბრძნილობა და სიმძაფრე: გგონია ყველანი კვაკერებ შორის ვცხოვრობთო. რა შედეგი ექმნება ამ დიდცვლილებას?—ალბათ არც ბანკირი და არც მთელი საზოგადოება ფულებს წყალში არ გადაყრიან. მაშ როგორღა მოიხმარებენ? უთუოთ მოინდომებენ ამუშაონ ფული და მოგება ნახონ. რა გზით? ერთი შეამუშავებს მიწას, რომელსაც აქამომდე ყურს არ უგდებდა: მოაშენებს მცენარეებს, აშრობს ჭაობებს, გაჰყავს გზები, შეაკეთებს ნაშენობას, ტყით დაფარავს ტიტველ ნიადაგს, მეორე გააფართოვებს თავისს ქარხანას, მესამე რკინის გზის აქციებს იღებს, მეოთხე მადნეულობას შეამუშავებს და სხ. ერთი სიტყვით ყველანი გააჩენენ შრომას სასარგებლოს და მაწარმოებელს, რადგან გაანგარიშებული აქვთ დანახარჯის ფულისა მოგება მიიღ[illegible]ან. იგივე მილიონებია დახარჯული, იმიტომ რომ დღეს ფულს მიწაში აღარავინ მარხავს; ისინი ასაზრდოებენ იმდენსავე შრომას და აძლევენ ცხოვრების საშუალებას იმდენსავე მუშების რიცხვს, მხოლოდ ეს მუშები ირჯებიან სოფლებში, როცა ისინი არა ჩანან და არა საპირფარეშოს, მეწახნაგის, კანდიტრის და მოდისტკების სახელოსნოებში, საცა მათ ყველანი უცქერიან. მაშასადამე აქ მოხდა მოსპობა კი არა, გადანაცვლება საქმობისა.

Масштабъ.
Верс.
20 16 12 8 4 0 20 40
N
W
O
Z
Хребетъ Кавказскихъ горъ
АБХАЗІЯ
ЧЕРНОМОРСКІЙ ОКР.
Чернаго моря
ЧАСТЬ МИНГРЕЛІИ
Р. Бзыбь
Р. Кодоръ
Р. Ингури
Р. Моква
Р. Келасури
Р. Бомбора
Р. Бжолка
Р. Бжолка
Р. Бжолка

აფხაზეთის რუქა.

ვბეჭდავთ აფხაზეთის რუქას. აფხაზეთის მხარეზედ დღეს თითქმის ყველას აქვს ყურადღება მიქცეული. აგერ ორმოც-და-ათი წელიწადი მეტი გადის თითქმის, რაც სცდილობენ აფხაზეთის მოქრისტიანებას. მისსიონერების ანგარიშისამებრ სჩანს, რომ აფხაზეთში მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მიუღია ოთხჯერ უფრო მეტს ხალხს, რამდენიც ცხოვრებდა და ცხოვრობს აფხაზეთში. დაარსდა მონასტრები და ეკლესიები, მაგრამ მთლად ხალხის მოქრისტიანებას არა ეშველა რა. დააარსეს ეპარქია, ბოლოს აუქმებდენ და ეხლა მკვიდრ ნიადაგზედ დაამკვიდრეს, მაგრამ ნაოფის მოტანა ყველა ნახმარ ზომებისაგან კიდევ როგორდაც საეჭვოდ მიაჩნიათ. შემოსული უცხო თემი სარგებლობს აფხაზეთის მიწა-წყლით, მაგრამ მკვიდრთა კეთილდღეობას დიდი ცვლილება არ მისცემია. ამ ქვეყანაში აპირობენ გადმოსახლებას რუსებიც, ბოლგარელებიც გალიციელებიც, ბერძნებიც და სომხებიც. მხოლოდ ჩვენ, ქართველობა, რომელიც ამ ადგილის მეზობლად ვსცხოვრობთ, სრულებით ყურადღებას არ ვაქცევთ და გულხელ დაკრეფილი შევსცქერით შორიდამ ამ საქმეს. დანარჩენსაც შემდეგ ნომერში ვაცნობებთ მკითხველებს.

არ არის რიგი, ღობე-ყორეს ამოფარებული კაცი ტალახს ისვრიდეს.

ამას წინეთ ჩვენ ვსთხოვეთ «ივერიის» რედაქტორს, რომ ღობე-ყორეს ამოფარებულმა პირებმა ჩვენსკენ პირადათ ტალახის სროლას თავი დაანებონთქო. ყველა პატიოსანი კაცისათვის ასეთი საქციელი სასირცხოა. ჩვენი უკანასკნელი წერილის შემდეგ კარგა ხანმა განელო და მართლაც ხსენებული გაზეთის რედაქციას არ დაურღვევია ეს ჩვენი კეთილი რჩევა. ეხლა «ივერიის» მე-113 №-ში ბ. პაატამ მაინც კიდევ დაარღვია ეს ჩვენგან მოთხოვნილი პირობა. მან ბევრი უკადრისი სიტყვების წარმოთქმა იკადრა ჩვენ შესახებ პირადათ ბ. გმირაძის ლექსის გამო, რომელიც ჩვენს გამოცემაში იყო დაბეჭდილი. ბ. პაატას ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ «ივერიის» რედაქტორად და ილია ჭა—ძის მოადგილედ. მას არ ჰქონდა უფლება ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებისა. პაატას ჰქონდა საქმე არა ჩვენთან, არამედ ბ. გმირაძესთან; ერთიც და მეორეც ღობე-ყორეს არიან ამოფარებულნი. ჩვენ რომ ნება მიგვეცა გმირაძისათვის პირადად მ. ნასიძეზე წერისა, რომელიც პაატას სახელით გამობრძანებულა და გაუკითხავად მარჯვნივ და მარცხნივ ისვრის ტალახს, მაშინ იქმნებოდა ჩვენის მხრით პირობის დარღვევა. ვასრულებთ პაატას—(მ. ნასიძის) სურვილს და უცხადებთ, რომ ბეკო გმირაძე არის რ. ხუნდაძე. რაც შეეხება იმას, რომ პაატას კარგათ აღარ ახსოვს ის, რა პირობაც მოვსთხოვეთ «ივერიის» რედაქციას, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ნასიძეს შეეძლო მოენახა ჩვენი გამოცემის ნომერი «ივერიის» რედაქციაში და ნამდვილად. შეეტყო ჩვენგან გამოთქმული აზრი. შორს ჩვენგან ღობე-ყორეს ამოფარებულნო პატრიოტნო! მისი არა გეწამს რა, რომელსაც თავისის სახელის გამოაშკარავების ეშინია მამულისადმი სამსახურის დროს. პაატა საყვარელი სახელია ქართველთათვის, ნუ შეაძულებთ ამ სახელს ქართველებს. მღვდელს მოუცია თქვენთვის სხვა სახელი და არა პაატა და თქვენით ნუ ისაკუთრებთ მას, რაც არ გეკუთვნისთ...

ნუ გრცხვენის და ნუ გეშინის, ბ. მიხაილ ნასიძე, თქვენი ნამდვილი სახელის გამოაშკარავებისა. რაც გიქმნიათ, მაღლა ღმერთმან იცის და ძირს ჩვენ ვიცით. ვისი და რისი გეშინიათ?. ლექსების უვარგისობაზედ სწერეთ, რამდენიც გინდათ. ჩვენთან რა საქმე გაქვსთ? თქვენ პასუხი უნდა გაგეცათ გმირაძისათვის იმაზე, რაშიაც გამტყუნებდნენ. თქვენ კი პასუხის მაგიერ გამომდგარხართ და გმირაძეს ლექსის წყობას უწუნებთ, რომ ასოები სწორეთ არ არიან დამდგარნი. ეს არის თქვენი პასუხი?!

როდესაც კაცი შიშობს, რომ ყველანი ვითომ მასზედ ლაპარაკობენ და ფიქრობენ, როდესაც კაცს მთელი საზოგადოება მტრათ მოეჩვენება, როდესაც კაცს თავის თავი ყველაზედ უბრძნესად მიაჩნია, აი სწორედ ამისთანა კაცისათვის არის საჭირო პაველოვსკის საავადმყოფო, და არა მათთვის, ვინც ლექსის წერას სწავლობს.

დეკ. დ. ლამბაშიძე

მცირე შენიშვნა*).

«ივერიის» მე-112 №-ში არის დასტამბული ერთი, უცნაური კილოთი დაწერილი, ამბავი 30-ის მაისს მომხდარ ქალაქის არჩევნებზედ. იქ, სხვათა შორის, მოხსენებულია: «კენჭის-ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ. გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან». მაგრამ დარბაისელი ქართული გაზეთი იქვე უმატებს: «უარი სთქვა ქართველთან ერთად 25-მა რუსმაც». ამის შემდეგ გაზეთს მოჰყავს სია იმ პირთა, რომელთაც კენჭის ყრაზედ ყუთი არ დაიდგეს. ამ სიიდგან ცხადათ სჩანს, რომ უარი უთქვამსთ კენჭის ყრაზედ 32 ქართველს, ოც-და-ხუთს რუსს, ხვიდმეტს სომეხს, სამს ნემეცს, ერთს თათარს და ერთს პოლონელს. მაშ ვერ გაგვიგია, რა უნდა ეთქვა დარბაისელ კილოთი მოლაპარაკე გაზეთს? რომელ ქართველთაგან გამოირიცხა თავი ბ. გიორგი ექვთიმეს ძემ წერეთელმა? რომელთაც კენჭი არ იყარეს? მაგრამ ისინი ხომ მარტო ქართველები არ ყოფილან? იმათ შორის, როგორც სია გვიჩვენებს, რუსებიც ყოფილან, სომხებიც, ნემცებიც, თათარიცა და პოლონელიც; ან იქნება კარგმა, ლოღიკის მეპატრონე გაზეთის რეპორტერმა ყველა ზემოხსენებული სხვა ტომისა და მოდგმის კაცები ქართველებად ჩათვალა, რადგან მე იმათგან გამოვურიცხავარ. ეს კიდევ არაფერი. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ბ. რეპორტერის აზრით, მარტო მე დავრჩი ქართველი იმ განდევნილ კათაკმეველთაგან, რომელთაც კენჭი იყარეს. მაგრამ დარბაისელი ქართული გაზეთის რეპორტერი აქაც რომ მართალს არ ამბობს! ჩემ გარდა კალოუბნელმაც აკი იყარა კენჭი და კიდეც ამოირჩიეს ხმოსნად! ის კი არა, მე დარწმუნებული ვარ, რამდენ ქართველსაც უნდა ეყარა კენჭი, იმ დღეს, თითქმის ყველას ამოირჩევდენ. კალოუბნელმაც ხომ დაიდგა ყუთი, რატომ ის კი აღარ შეიქნა განდევნილი და განრიცხული ქართველთაგან? მაგრამ, როგორც მკითხველი მიხვდება, აქ სხვა რამე იგულისხმება, რომელზედაც ეს ერთი კვირაა დიდი მითქმა-მოთქმა არსებობს თბილისელ ქართველებში და შეიძლება დარბაისელი ქართული გაზეთის მეოხებით ქალაქს გარეთაც ბევრი ლაპარაკობდეს. ვითომ და როგორ გაბედა გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელმა ჩვენ, ტფილისელ ქართველ მეთაურების, წინააღმდეგ წასვლაო, თუნდ რომ ჩვენ უმართებულოთაც მოვქცეულვიყავითო. მართლაც უმართებულოდ მოიქცენ ისინი და ამითი დაამტკიცეს თავისი უვარგისობა. აი რატომ?

მაისის 16 რომ ქალაქის საარჩევანო კენჭის ყრა მოხდა, შემდეგ ქართველნი ძველნი და ახალნი ხმოსანნი შეკრბენ. მეც მიმიწვიეს წერილით ამ კრებაზე, სადაც ერთ-ხმად გადაწყვიტეს, რომ ახალ ამორჩეულს ქართველს ხმოსნებს უარი განეცხადებია. ყველანი დათანხმდენ გარდა კალოუბნელისა, რომელმაც რიხიანად წარმოსთქვა შემდეგი აზრი: «ბატონებო, აქ მე თავის ქება ბევრი მესმის, მჭევრ მეტყველებასაც ბევრს იჩენენ ჩვენი მეთაურები; მაგრამ საქმეს კი არ ვხედავ. ამბობენ, სომხები გვემტერებიან და იმისთვის გაგვაშავესო. საქმით კი ჩვენი მეთაურების გაშავება თავიანთივე დაუდევრობის ბრალია. სომხები მოემზადენ და ბევრნიც მოვიდენ კრებაზედ იმათი მეკენჭეები; ჩვენებში კი, ოთხას მეკენჭეში ას ოც-და-ათი კაცი ძლივს მოვიდა».

თავის ნამსახურებით ოქმის წარმოდგენას და ტრაბახობას, ისა სჯობდა რომ რამე ეღონათ და მეკენჭეები ბლომად მოეყვანათ. მაშინ უწინდულადვე გავიყვანდით იმდენს, რამდენიც წინათ გავიდენ. ახლა გვეუბნებიან, უარი თქვან, ვინც ამოირჩიესო. მე სწორედ არ მესმის ამისთანა პროტესტი. ეგ ჩვენი სიძაბუნეა, მეტი არაფერი. ამაზედ კიდევ უფრო საბუთიანად ილაპარაკა საადგილ-მამულო ბანკის დირექტორმა, თ. დ. ავალიშვილმა. მაგრამ ვერა გაარიგა რა. ყველანი დავთანხმდით, უარი გვეთქვა ხმოსნობაზედ. არ დათანხმდა მხოლოდ ბატ. კალო-

---

*) ჩვენ მივიღეთ ეს სტატია შემდეგი პატარა წერილით: „ბ. რედაქტორო! ეს პასუხი გავუგზავნეთ „ივერიის“ რედაქციას დასაბეჭდათ, მაგრამ რედაქციამ არ ინება, შემომითვალა, მოუხერხებლად მიგვაჩნია ამ პასუხის დაბეჭდვაო. ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ეს „ჩემი გულის პასუხი“, რომ საზოგადოებამ ნათლად შეიტყოს, რაში მდგომარეობს საქმე».

გაძლევთ ადგილს ამ შენიშვნას, ვინაიდგან ჩვენ ყოველთვის უკანონოდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია რედაქციისაგან უარის თქმა კაცის პასუხის დაბეჭდვაზე თავის გასამართლებლად. აბა რა საქციელია, ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამსთ, კაცი გალანძღოთ ბეჭდვით, იუდას შეადაროთ და როდესაც თავის გასამართლებლად პასუხს გიგზავნისთ, შეუთვალოთ: რედაქციას მოუხერხებლად მიაჩნია თქვენი პასუხის დაბეჭდვაო!.

რედაქტორი.

უბნელი. მეორე თუ მესამე დღეს შევიტყეთ, რომ გუბერნიის საქალაქო საქმეთა სასამართლოს მაისის 16 არჩევნები გაუუქმებია. ამას შემდეგ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. ჩვენმა მეთაურებმა ისევ მიგვიწოდეს კრებაზედ. ბატ. ნ. ნიკოლაძემ ძლიერ საბუთიანად ილაპარაკა შემდეგი: «ბატონებო! ახლა სულ სხვა გარემოება დადგა. პირველი არჩევანი მოიშალა და ჩვენ ისევ დაგვიბრუნდა სრული უფლება ახალ არჩევანისათვისო. ესცადოთ, ერთხელ კიდევ ყველა ქართველმა კანდიდატებმა დავიდგათ ყუთები. თუ ამ მეორედაც გაგვაშავეს, მაშინ კი სრული საბუთი გვექნება, რომ სომხები ჩვენი მტრობით სჩადიან ასეთა საქმესო და მთავრობაც სხვა თვალით შეხედავს ასეთს ძალ-მომრეობასო». ყველანი დათანხმდენ, გადასწყვიტეს ერთხმად, ხელმეორედ უნდა იყარონ კენჭი ქართველმა კანდიდატებმაო.

ამ კრებაზედვე ამოარჩიეს კომიტეტი, რომელსაც დაავალეს, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ქართველი მეკენჭეები მოიყვანონ მეორე არჩევანზედ, ყოველი ღონე იღონონ, რომ თითქმის ყველა ქართველი კანდიდატები ამოარჩევიონ ხმოსნებად. ეს იყო მხოლოდ მათი ვალდებულება, სხვა არაფერი. ამას შემდეგ მე აღარა ვიცი რა. არავის აღარ მიუწვევივარ კრებაზედ და ვფიქრობ, არც არავითარი კრება აღარ უნდა მომხდარიყო. მაისის 29, შაბათს ღამის თერთმეტ საათზედ, მოვდიოდი შინ სტამბიდან, საცა, ის იყო, გაზეთის «კვალის» დასტამბვა თავდებოდა. გზაზედ შემხვდა თ. დ. მიქელაძე და გაოცებული სახით მკითხა: «ამისთანა უგუნურება იქნება? კომიტეტს, ეს არის, ამ ერთის საათის განმავლობაში, გადაუწყვეტია, ქართველმა კანდიდატებმა კენჭი არ იყარონო?

— კომიტეტს ეგ უფლება არ ჰქონდა-მეთქი.

— საქმეც ეგ არის. იქვე ხელად შეუკრებიათ ქართველები, ვინც კი ბანკის რესტორაციაში (ყავახანაში) ყოფილა და საჩქაროდ მოუხდენიათ ყრილობაო.

— უკანონობაა და აჩქარებული კაცების ნამოქმედარი იქნება-მეთქი, არ მჯერა, და რომ მართლაც მომხდარიყოს, მე იმ ცხვრის ფარაში არ გავერევი, რომელიც კლდეზე გადასაყრელად მიჰყავთ მეთქი მოუფიქრებლად.

— მეტი არ შეიძლება, ისეთი მოუფიქრებელი და უადგილო გადაწყვეტილებაა—დაუმატა თ. დ. მიქელაძემ და გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს, მაისის 30-ს, დილის ცხრა საათზედ მივედი არჩევანზედ. იქ დამხვდა ხალხის გროვა, რომელიც აწვებოდა თეატრის კარებს, მალე შესულიყო საკრებულო დარბაზში; სხვათა შორის გამოველაპარაკე თ. ივანე მაჩაბელს და ნ. ზ. ცხვეთაძეს ასეთს უმართებულო და უადგილო გადაწყვეტილებაზედ. თ. ივ. მაჩაბელმა მითხრა: ახლა რაღა დროს მაგის ლაპარაკია, გარდაწყვეტილია, პროტესტი უნდა გამოვაცხადოთო. ჩვენი ყუთები უნდა ჩამოვაშორებინოთო.

— ჩემთვის ეგ სრულებით გარდაწყვეტილი არ არის და არც დავემორჩილები მაგისთანა გადაწყვეტილებას-მეთქი.

შემდეგ ეუსაყვედურე ნ. ზ. ცხვეთაძეს ეს ამბავი.

— რა, ვქნა, ძმაო, ორი დღეა, ვიბრძვი მაგის გულისათვის და ვერავის შევასმინერაო. თუ აგრე იყო, რატომ არ მოხვედი და არ დამეხმარე, რომ ასეთი უმართებულო გარდაწყვეტილება არ მომხდარიყო ჩვენი მხრითო.

— ჩემთვის არავის შეუტყობინებია-მეთქი.

ერთ საათს შემდეგ დაიწყო არჩევანი, მე ჩემი ყუთი არ ჩამოვადგმევინე. მეუბნებოდენ: უმართებულოა, რაკი ყველამ უარი თქვა, შენც უარი უნდა გამოაცხადოო.

— არა-მეთქი. არ შემიძლია, მე ვიკისროს ის ბრალდება, რომ შევიქენი სომხებისა და ქართველებს შორის მტრობის მიზეზი-მეთქი. ამას გარდა, სომხებს რომ კიდეც გულში ჰქონდესთ ჩვენი მტრობა, იარაღი არ უნდა მივსცეთ ხელში. ჩვენივე დანით არ უნდა დავაკლევინოთ თავი-მეთქი: ეს რომ მოხდეს, სომხები თავს ასე იმართლებენ: «არ დადგეს, თორემ ყველას ამოვირჩევდითო». აი, ენახოთ მე და კალოუბნელს თუ გაგვაშავებენ, მაშინ კი დავრწმუნდები, რომ მტრობა ჰქონიათ-მეთქი. ამას შემდეგ ქართველები ისე გაბრაზდენ, რომ ერთი პირი გაჰკრეს და დაგვიშინეს მე და კალოუბნელს შავები.

მაგრამ სომხებმა ქართველებს ჩვენი თავი არ გააშავებინეს. აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ჩვენი ქართველი მეთაურები გულის-თქმით მოქმედებდენ და არა დამჯდარის მოსაზრებით. ბეშმარიტად მრცხვენია ჩვენის განათლებულის თანამემამულეების

მაგიერად, რომ ისინი არ დაერიდენ და პირად თავ-მოყვარეობას უმსხვერპლეს საზოგადო ორი ნაციის ინტერესი, არამც თუ ქართველები და სომხები გადაამტერეს ერთმანეთს ეროვნულად, ჩემს პირად ზნეობის ღირსებასაც შეეხენ; მაგრამ ისტორია დააფასებს ჩემს საქმეებსაც და იმ მყვირალა დამქაშებისასაც, რომელნიც ქვეყნის ყოველ საჭირო საქმეზედ ხალხს თვალს უხვევენ.

„მართალს გიტყვი, შეგიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჭკვავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ამისთანა ამბავი ორისავე მეზობელ ერისათვის მეტად მავნებელია და ასეთი შეტაკება შეიძლება გახდეს მომავალში აურაცხელის უბედურების მიზეზი ორივე ერისათვის. რაკი ბრძოლა იმდენზედ მივიდა, რომ ერთი ერის მეთაურებმა აღარ დაზოგეს არავითარი იარაღი, რომ მეორე ერს უფლება მოჰკლებოდა თვით-გამგეობაში, მე მაშინ ჩამოვეცალე ასეთს უმართებულო განზრახვებს. მე ვიცოდი, რომ ერთმანეთის საუკუნოდ გადამტერების მეტი სხვა არა მოჰყვებოდა რა ასეთს საქციელს. მე წინააღმდეგი ვიყავი, ვარ და მუდამ ვიქნები, სანამ პირში სული მიდგია, იმ აზრისა, რომ ერთი მეზობლის ხალხის გამოისობით მეორე მეზობელს ხალხს შეუმცირდეს მისი ეროვნული უფლება. ცხოვრების ბრძოლაში რაკი რომელიმე მეზობელი თავის მეზობლის გასაქელავად მოიშველიებს გარეშე ძალას და იმითი ეცდება ფრთა შეაკვეცოს თავის მეზობლის თვით-არსებობას და მის უფლებას, მაშინ თვითონ იგიც აღარ არის თვით-არსებობისა და პირადის უფლების ღირსი. განა ცოტა ცოდვები მიუძღვის ქართველებს ამ შემთხვევაში? განა ჩვენის მამა-პაპების დახმარებით არ განადგურდენ მთის ხალხები? განა გვერგო რამე, შევიძინეთ რამე იმათი დაკარგვით? მაშ ეს-ღა დაგვრჩენია, ახლა სომხობასაც დავერიოთ და საბოლოოდ გადავიმტეროთ!

წრეევანდელ სომეხ-ქართველთა შორის უსიამოვნებას სარჩულად დაედვა გვარ-ტომობითი გადაკიდება ერთმანეთში და ამ მძიმე პასუხის გებაში თანასწორად დამნაშავენი არიან, როგორც სომხობის მეთაურნი, ისე ქართველებისა, რომელნიც უფრო გულისთქმას აჰყვენ, ვიდრე გონიერს მოსაზრებას; ახლა ყველასთვის ცხადია, რომ იმათ გაჰყვეს ამომრჩეველნი გვარ-ტომობით ორ მოპირდაპირე ბანაკად და ეს ჩემის აზრით დიდი შეცდომა იყო, ამიტომაც ვეწინააღმდეგე, რაც შემეძლო, ასეთს წინ-დაუხედავს მოქმედებას. ალბად ეს, და მხოლოდ ეს, არის მიზეზი, რომ დარბაისელმა ქართულმა გაზეთმა და მისმა ამყოლებმა გამრიცხეს ქართველობისაგან.

ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი ძრახვენ;
ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.

გ. წერეთელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრების დრო შეცდომით იყო მოყვანილი ჩვენი გამოცემის წინა №-ში. კრება მოხდება ამა თვის 22, 23 და 24 რიცხვებში.

***

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 71 მოწაფემ. ამათში სასწავლებლის სამმართველოსაგან 27 მოწაფემდე იქმნება გაგზავნილი თბილ. სასულ. სემინარიის პირველ კლასში.

***

სასულიერო სასწავლებლების წესდებით ოთხკლასიან სასწავლებლის თითოეულს კლასში უნდა იყოს 40 მოწაფე. თითოეულ მოსამზადებელ კლასში სწავლობს დღეს 50 მოწაფემდე. ამიტომ ეს აგერ ორი-სამი წელიწადი იქნება, რაც ზედა მოსამზადებელ კლასიდგან ყველა ღირსეული მოწაფის გადაყვანა სასწავლებლის პირველ კლასში შეუძლებელი ხდება უადგილობისა გამო. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ სამღვდელოების დეპუტატებმა თავიანთ მომავალს კრებაზე ყურადღება მიაქციონ ამ სამწუხარო მოვლენას.

სწავლა კეთილ-ზნეობასა და სარწმუნოებაზედ.

მამა დავით მარესჯელი.

I

ღირსი მამა დავით ბარესჯელი იყო ასურელი. ის აღიზარდა წმ. იოანე ზედაძნელის მიერ და შეიძინა მისგან საღვთო სწავლა-მოძღვრება, რომლისაგან ყოველ კაცს მიეცემა ზეციური სიკეთე, თუ კაცი საღვთო სწავლა-მოძღვრებას დაიმარხავს სიწმიდით, ღირსებით და შეუცვლელად. წმ. იოანე ზედაძნელიც ასურელი იყო. მას დავითს გარდა ყავდა სხვაც ბევრი მოწაფენი, აღზრდილნი და განმტკიცებულნი, როგორც დავითი, საღვთო სწავლა-მოძღვრებაში. ასურეთში მყოფობის დროს წმ. იოანემ მიიღო ბრძანება ღვთისაგან, რომ ის წასულიყო საქართველოში თორმეტ მოწაფითურთ ქრისტიანობის გასავრცელებლად. წმ. იოანე დაემორჩილა ღვთის ბრძანებას: თორმეტ მოწაფითურთ ასურეთიდგან ის წამოვიდა საქართველოში. ეს მოხდა ორასი წლის შემდგომ წმ. მოციქულთა-სწორის ნინა ქართველთ განმანათლებელის დროიდგან, როცა საქართველოს ეკლესიას განაგებდა ევლავიოზ კათოლიკოსი (პატრიარქი). როდესაც წმ. იოანე თავის მოწაფეებით მიუახლოვდა მცხეთას, რომელიც იმ დროს იყო საქართველოს სატახტო ქალაქი, ევლავიოზ კათოლიკოსს გამოეცხადა ჩვენებით ანგელოსი და უბრძანა მას: «აჰა, მოვალს იოანე, ყოველად განთქმული მონა უფლისა თავის მოწაფეებით, რომელმან განანათლოს ყოველი ეს ქვეყანა, როგორც პირველად ნინამ; აწ აღსდეგ და მიეგებე მათ". ევლავიოზ დაემორჩილა ღვთის ბრძანებას და მიეგება მათ. როდესაც ისინი შეხვდენ, ევლავიოზ კათოლიკოსმა ღვთის განგებით იცნო ისინი, გადაეხვია წმ. იოანეს და მოიკითხა იგი: «კეთილად მოხვედ მამაო წმიდაო». წმ. იოანემ კათოლიკოსს თაყვანისცა და უთხრა: „წმიდაო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირსმყო თაყვანისცემად სიწმიდისა შენისა". ეგრეთვე იოანეს მოწაფეებმაც მიიღეს ლოცვა-კურთხევა კათოლიკოსისაგან. მაშინ წმ. იოანემ მიიღო ღვთისაგან ნიჭი ქართულად ლაპარაკისა, იმ გვარად, როგორც სული წმიდის გადმოსვლის დროს ქრისტეს მოციქულებმა მიიღეს სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკის ნიჭი, (საქ. მოც. 2, 1—4). იქ მყოფნი და რომელთაც ესმა ეს უცხო სასწაული განკვირვებით და შიშით ადიდებდენ ღმერთს საკვირველებათა მოქმედს. წმ. მამებმა მოვლეს საქართველოს ქალაქები და სოფლები, ქადაგეს სახარება და განამტკიცეს ქართველნი ქრისტიანობაში, მერე ამოირჩიეს საცხოვრებელად ზედაზენის მთა, იქ განმარტოვდენ და განატარებდენ დროს მოღვაწეობაში, ლოცვაში და მარხულობაში; მორწმუნე ქართველნი მიდიოდენ მათთან, მიყავდათ ურიცხვი სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ყრუნი და ყველანი განიკურნებოდენ წმ. მამების ლოცვით. რადგანაც ისინი იყვენ კეთილ-მორწმუნენი და წმიდანი, ამიტომ ქონდათ მათ ღვთისაგან მიცემული კურნებათა მადლი, თანახმად იესო ქრისტეს ბრძანებისა (მარკ. 16, 17—18) და პავლე მოციქულის სიტყვებისა (1 კორ. 12, 9). ორი იოანეს მოწაფეთაგანი—აბიბოს და იესე კათოლიკოსის მიერ ხელდასხმულ და დადგენილ იქმნენ ეპისკოპოსებად ნეკრესისა და წილკნისა; სხვები წმ. იოანემ გაგზავნა საქადაგებლად ქართლ-ქახეთს; თვითონ კი იქვე განაგრძო მოღვაწეობა და გააშენა იქ მონასტერი ზედაძნისა.

II

ამა დავითმა თავის სულიერ მოღვაწეობისთვის პირველად აღირჩია თბილისის მახლობლად დასავლეთისაკენ მდებარე მთა, რომელსაც დღეს მთა-წმიდას ეძახიან და იქ ერთ პატარა გამოქვაბულ კლდეში დაემკვიდრა თავის განუყრელ და ერთგულ მოწაფით ლუკიანეთურთ. ეს ადგილი მაშინ ქალაქს გარეშე იყო (მაშინდელი თბილისი მთაწმიდამდე არ იყო გაშენებული) და წარმოადგენდა მყუდრო და განმარტოებულ ადგილს, რის გამოც ამ ადგილმა მიიქცია ყურადღება მ. დავითისა, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი იყო იგეთ ქალაქის მახლობლად, რომელშიაც ბევრი მცხოვრებთაგანი კერპთ-თაყვანისმცემელნი იყვენ: ბევრი მცხოვრებთაგანი ცეცხლს სცემდენ თაყვანს და დავითს, როგორც ქრისტიანობის განსავრცელებლად მოვლენილს საქართველოში,

შეეძლო თავის ქადაგებით მათი მოქცევა. მ. დავითი ლუკიანეთურთ ყოველ კვირა დღეს ჩადიოდა თბილისს და ქადაგებდა ქრისტეს სწავლას; თავის ქადაგებით და წმ. ცხოვრებით ბევრი ცეცხლის თაყვანის-მცემელნი მოაქცია და ქრისტეს სარწმუნოება მიაღებინა. თფილისის მკვიდრნი—ქართველნი ქრისტიანენი დიდი პატივისცემით უყურებდენ მ. დავითს, მიაჩნდათ იგი წმიდანად—ღვთისგან მოვლენილ ანგელოსათ და დიდი ყურადღებით ისმენდნენ მის ქადაგებას. მაგრამ მამა დავითს მტერნიც მალე გაუჩნდნენ: ქურუმნი (ცეცხლის თაყვანის-მცემელთა მოძღვარნი) სულ სხვა თვალით უყურებდენ მ. დავითის ქადაგებას,—იმათ შურდათ და ძლიერ სწყინდათ, რომ მამა დავითმა ბევრი კერპთ-თაყვანის-მცემელნი მოაქცია და მათ შორის პატიეი დაიმსახურა. ქურუმთ სურდათ, რომ როგორმე დავითი თბილისიდან განედევნათ და ცეცხლის თაყვანისცემა ისევ განეძლიერებიათ; თავის ბოროტ განზრახვის აღსასრულებლად ქურუმებმა მიმართეს ცილის წამებას და საქმე ასე მოაგვარეს: იქ, სადაც ახლა ძაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესია არის, იმ დროს იყო დედათა მონასტერი, იმ მონასტერში ხან-და-ხან მ. დავითიც შედიოდა. ერთმა იქაურმა მონაზონთაგანმა დაარღვია აღთქმა ქალწულობისა, ჩავარდა ცოდვაში და დაორსულდა. მშობიაობის დროს ის საშინლად დაიტანჯა და შვილი არ ეყოლა; დავითის მტრებმა—ქურუმებმა, რომელნიც, სხვათა შორის, კიდეც მკითხაობდნენ, უთხრეს მშობიარეს, რომ ის, თუ ბავშვის მამად არ დასახელებს დავითს, არ მორჩება და უსათუოდ მოკვდებაო. მან გაუგონა ქურუმებს და მამა დავითს ცილი დასწამა: ბავშვის მამად აღიარა. ამის გამგონე მართალი დავით, ცილის წამებით ძლიერ შეწუხებულ-გამწარებული, მთავრობის მიერ დაბარებული, მივიდა მშობიარის სახლში, შეაჩერდა ზეცას და ღმერთს ლოცვილობდა, რომ ღმერთი შეწეოდა მას და ამ ცილის წამებისგან გამოეხსნა იგი. ცილის წამება მძიმე ცოდვაა და ამიტომ ყოველი ქრისტიანე უნდა ერიდოს მას. (გამოს. 20, 16; გამოს. 22, 28; გამ. 23, 1; გამ. 34, 6; ლევიტ. 19, 16; ფსალ. 33, 13; ეკკლ. 10, 20; ეფეს. 4, 31; კოლას. 3, 8; 1 პეტრ. 2, 1; 2 კორინ. 12, 20; ტიტ. 3, 2; იაკ. 4, 11; 1 პეტ. 3, 10; ფსალ. 14, 1—3). ქურუმებმა და ყველა კერპთ-თაყვანის-მცემლებმა შექმნეს ყვირილი და თხოულობდენ დავითის დასჯას. მორწმუნე ხალხი კი განცვიფრდა და თვითონ არ იცოდა, რა ექმნა; მაშინ მ. დავითი წარსდგა წინ და უთხრა ხალხს: «ძმანო და შვილნო! თვით ღმერთმან იცის, რომ მე ამ საქმის არა ვიცი რა და, თუ მათი სიტყვა მართალია, თვით ღმერთმან გამოაჩინოს ეს საქმე». მერმე დავითის თხოვნით ის დედაკაცი დააყენეს დავითის წინ, დავითმა ხმამაღლა უთხრა მას: «დედაკაცო! რა მრუშება ექმენ მე შენთანა»? დედაკაცი კი ურცხვად და უშიშრად ხმამაღლა აბრალებდა დავითს თავისს ფეხმძიმობას. მაშინ, მ. დავითმა ილოცა ღმერთი: «შფალო ღმერთო ჩემო! ღმერთო მართალთაო და არა უსჯულოთაო, ვიცი, რომ შენ წინაშე არა რაჲ არს დაფარულ, გამოაჩინე ჭეშმარიტება საქმისა ამის»... თავის რკინის ჯოხი, რომლის თავზე პატარა ჯვარი იყო, შეახო იმ დედაკაცის მუცელს და ჯერ კიდევ დაუბადებელ, მუცელში მყოფ ყმაწვილს ჰკითხა: «მე ვარ მამა შენი?» მუცლითგან გამოისმა ხმა ყმაწვილისა: «არა, არა» და დასახელა ვილაც მჭედელი თავის მამად. ამგვარად ღმერთმა ისმინა ლოცვა მის მართლისა და გამოაჩინა სიმართლე მისი. «რასაცა ითხოვდეთ სარწმუნოებით, ბრძანებს შფალი, გეყოს თქვენ» (მათ. 21, 22; მარკ. 11, 24; იოან. 14, 13—14; იოან. 16, 23—24; იაკ. 1, 5—6; 1 იოან. 3, 22, 23). ეგვეთის სასწაულის გამო განცვიფრდენ ჯ გაშტერდენ ყოველნი იქ მყოფნი, ხალხიც და ქურუმნიც და ხმა ველარ ამოიღეს. მაშინ იმ დედაკაცს უთხრა მ. დავითმა: «შენ ქვას ზობ». ხოლო შერცხვენილ ქურუმებმა დავითს ვერაფერი მოუხერხეს და ის დედაკაცი კი ჩაქოლეს ქვითა. იმ დედაკაცმა ჩაქოლვამდე მართლა შვა ქვა, თუ არა, არ ვიცით, მაგრამ იმ ადგილს აღშენებულ წმ. გიორგის ეკკლესიას კი დაერქვა სახელად და დღესაც უწოდებენ ძვაშვეთის (ანუ შემოკლებით ძაშვეთის) წმ. გიორგის ეკკლესიად.

III

ამ გარემოების გამო მ. დავითი ლუკიანეთურთ განშორდა პირველ თავის სადგომ ბინას, გავიდა მდინარე მტკვარში და ცოტა დროებით დაბინავდა ნათლღელის მახლობლად მტკვრის პირას გამოქვაბულ კლდეში; ხოლო აქედგან წავიდა დავითი ლუკიანეთურთ აღმოსავლეთისაკენ, გაცილდა ყარაიაზის მინდვრებს ჯ მივიდა ერთ კლდოვან ადგილს—უდაბნოში, რომელიც იყო განშორებული სოფელს და სოფლის

შფოთს, უწყლო, მზისგან გადამწვარი და მოკლებული ყოველსავე, რაც კაცის საზრდოდ გამოსადეგია. მამა დავითს ეს ადგილი მოეწონა საცხოვრებლად და უთხრა ლუკიანეს: «ძმაო ლუკიანე! ეხედავ, რომ ეს ადგილი კარგია და შფოთთაგან თავისუფალი, დავდგეთ აქ მარტოებით, ვეველოთ ღმერთს, ვიმარხულოთ, მღვიძარე ვიყენეთ, დავითმინოთ ყოველივე ხორციელი ნაკლულევანება და გასაჭირი, ცოდვა მოვინანოთ და მოწყალემან ღმერთმან, იხილოს რა გულსმოდგინება ჩვენი მისსა მიმართ, მოგვაგოს ჩვენ ნაცვლად კეთილი, მოგვცეს ჩვენ საღვთო მადლი, ჩვენი უძლურების განმკურნებელი, მოგვცეს მოთმინება,—ამ სოფლის შეიწროება და გასაჭირი მალე წარმავალია, ერთი წუთისაა, ხოლო შვება და დიდება ღირსთა და მოღვაწეთა საუკუნოა». ლუკიანემ მიუგო: «ღმერთ შემოსილო მამაო! სიტყვა შენი ჭეშმარიტია და საღვთო წერილშიც სწერია, რომ ღმერთი მიაგებს ყოველ კაცს საქმეთა ებრ მათთა, რაც კი იმოქმედონ ამ წუთისოფელში კეთილი, ანუ ბოროტი, (რომაელ. 2, 6; 1 პეტრ. 1, 17; იობ. 34, 24—25; იერ. 32, 17—19), მაგრამ ამ უდაბნოში დიდ იწროებას ვხედავ: ეს ადგილი მოკლებულია ყოველ საჭირო საზრდოს და თვით წყალსაც და ჩვენ კაცნი ვართ, მეშინის, რომ ვერ შეეძლოთ მოთმენა ამ უდაბნოს ჭირთა და იწროებათა». ამ სიტყვებზედ მ. დავითმა მიუგო: «ძმაო ლუკიანე! ამისთვის ნუ ზრუნავ: ღმერთმან, რომელმან უდაბნოში ებრაელებს საზრდელად მანანა უწვიმა (გამოს. 16, 4—35), კლდისაგან გამოადინა წყარო (გამოს. 17, 6; ნეემ. 9, 15; ფსალ. 77, 15—16; ფსალ, 104, 41; ფსალ. 113, 8; ისაია 48,21), კარმელის მთაზე ილია ყორნისა მიერ გამოზარდნა (3 მეფეთ. 17, 2—6), ჩვენცა გამოგვზარდნეს, საზრდელითა მით, რომელიცა ინებოს მოწყალებითა მისითა, ვინაითგან ბრძანებულ არს ჩვენდა: ნუ ზრუნავთ ხვალისათვის (მათ. 6, 34), რამეთუ იგი თავადი აღაღებს ხელსა თვისსა და განაძღებს ყოველსა ცხოველსა ნებისა ებრ თვისისა (ფსალ 13, 27—28); მან ჩვენც მოგვცეს საზრდელი, ჩვენთა სხეულთა უძლურების განმაქარვებელი. ახლა, ძმაო, გამხნევედი და განძლიერდი, სხვებთან ჩვენც გამოგვზრდის ღმერთი". ამ სიტყვებით განმხნევებულმა ლუკიანემ უთხრა დავითს: „პატიოსანო მამაო! როგორც ბრძანე, ეგრე ვყოთ, ხოლო ღმერთმან, რომლის იმედი გვაქვს, იზრუნოს ჩვენი ცხოვრებისათვის». ამგვარად იმათ გადაწყვიტეს იმ უდაბნოში მოღვაწეობა, დაიარეს უდაბნო, პოვეს პატარა გამოქვაბული კლდე და იქ შეიფარეს თავი სიცხისა და წვიმისაგან. იქ დაბინავდენ და ატარებდენ დროს ლოცვაში და მარხულობაში და საზრდოობდენ სხვადასხვა ბალახებით და მათი ძირებით.

IV

ამ უდაბნოში სიცხისაგან ბალახი მალე გადახმა და ლუკიანემ მწუხარებით შეჩივლა დავითს: «აწ წმიდაო მამაო! რალა იყოს ნუ-გეშინისმცემელი ჩვენი და რით ვისაზრდოოთ თავი; ბალახნი განხმენ და ჩვენთვის უხმარ იქმნენ». დავითმა, იხილა რა ეგრე მწუხარებით მოლაპარაკე ლუკიანე, უთხრა მას: „ძმაო ლუკიანე! რად დაგიდევს იმედი ბალახზედ და ქვეყნიურ მცენარეზედ? თუ არ იცი, რომ ყოველივე ქვეყნიური ნივთი ცვალებადია და წარმავალი, ყოველივე თავის დროზე აღორძინდება ⸗ მყოფობს და თავის დროზე განიხრწნება, როგორც დაუდგრომელი და წარმავალი და მხოლოდ სული უკვდავად ქმნილი ღვთისა მიერ სამარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცვალგებათა; თუ არ გაგიგონიათ საღმრთო წერილის სიტყვები: მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სულნი თქვენნი (ლუკ. 21, 19), რისთვის იქმენ ეგრე ძლიერ სულმოკლე? ნუ თუ არ იცი, რომ ქრისტეს მცნებისთვის უკეთუ მოეკვდეთ შიმშილით, ანუ წყურვილით, ხორციელი სიკვდილის მაგიერ მივიღოთ საუკუნო სულიერი ცხოვრება; რას სწუხხარ ბალახთა და მცენარეთათვის, ესენი პირუტყვთა საზრდოთ არს მოცემული, ჩვენ კი ვართ სიტყვიერნი და კაცთათვის შემსგავსებულითა საზრდელითა გვზარდნეს მზრდელმან ყოველთამან» (მეორე სჯულ. 10, 18).

ამ სიტყვების გათავებისათანავე ღვთის განგებით მოვიდა მათთან სამი ირემი თავიანთ ნუკრებიანათ და გაჩერდენ, როგორც ცხვარნი, დავითმა უთხრა ლუკიანეს: «მოიღე, ძმაო, პინაკი (ჯამი) და მოწველე ეს ირმები, ღვთისგან მოვლენებულნი ჩვენდა გამოსაზრდელად. ამ უცხო სანახავით გაკვირვებული ლუკიანე ადგა, მოწველა ირმები და დადგა პინაკი რძით, დავითმა გადასახა ჯვარი და რძე შედედდა ახალ ყველად; აიღეს ეს

ველი, სჭამეს საკმაოდ და მერმე წამოსთქვეს: «სჭამონ დავრდომილთა და განძღენ და აქებდენ უფალსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშინისმცემელსა ყოველთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა». ამის შემდგომ ლუკიანემ უთხრა დავითს: «პატიოსანო მამაო! ჭეშმარიტად საკვირველ არს ღმერთი და კურთხეულ არს სახელი წმიდა მისი, რომელმან შენი ლოცვით მტკიცე და შეურყეველ ჰყო გული ჩემი და თვით სული და გონება ჩემი ბნელისაგან გამოიყვანა ნათლად, შიმშილისაგან რომ განილიოს ხორცი ჩემი და წყურვილით მოაკლდეს სული ჩემი, აღარ ეზრუნვიდე ამა მოკვდავთა და დაუდგრომელთა ხორცთათვის და არცა ვდრტვინვიდე მე საზრდელთათვის, როგორც ურჩი და ურწმუნო ისრაილი (გამოს. 16, 2—3), არამედ სრულიად დაგემორჩილო და მოხარული ვიმედოვნებ სულით, რომ შენი მაღლით მივემთხვიო ზეციერ სასუფეველს». წმ. დავითი ამ სიტყვებზე გამხიარულდა და უთხრა ლუკიანეს: «ქებილი, ძმაო ლუკიანე, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და განანათლა სული და გონება შენი მის მიერითა ნათლითა». იმათ განაგრძეს მოღვაწეობა თავის ბინაზე—გამოქვაბულ კლდეში, მუდამ აღავლენდენ ლოცვას ღვთის წინაშე და იყვენ მღვიძარედ; ირმები კი ყოველ დღე მოდიოდნენ მათთან გამოსაზრდელად მათდა, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, როცა ეს მოღვაწენი არაფერს არ სჭამდენ.

V

იმათ ბინას ქვემოთ იყო გამოქვაბული კლდე, რომელშიაც დამკვიდრებულ იყო ვეშაპი დიდი და საზარელი; მას ჰქონდა დიდი აღგზნებული თვალები, დიდრონი რქები და ჯაგრის მსგავსი ბალანი. ჩვეულებისაებრ ერთ დღეს დავითთან მოდიოდენ ირმები თავიანთ ნუკრებით. იმათ ამოველოთ იქ, სადაც ვეშაპი ბუდობდა და ვეშაპს მათთვის ერთი ნუკრი მოეტაცნა. ირმებმა მოირბინეს ლუკიანესთან აღშფოთებულებმა და შეშინებულებმა. ლუკიანემ ეს გარემოება მოახსენა დავითს და დაუმატა, რომ ერთი ნუკრი აკლიათო. დავითმა აიღო თავისი ჯოხი, რომელზედაც იყო ჯვარი, წავიდა იქითკენ, საიდანაც ირმები ამოვიდნენ და იქით-აქეთ იხედებოდა, უნდოდა გაეგო: ვინ შეაშფოთა ირმები და მოსტაცა მათ ნუკრი; ამ დროს დაინახა მან საზარელი ვეშაპი, თუმცა გაუკვირდა მისი სიდიდე, მაგრამ არაფერად ჩააგდო: ღვთის იმედი ჰქონდა და სწამდა, რომ დაიმორჩილებდა მას (მრკ. 16, 18; ფსალ. 90, 13). ამიტომ მრისხანედ დაუძახა მას: «ბოროტო თავო! რად ავნე ჩემ ირმებს და შეჭამე ნუკრი მათი, გამოდი მაქედგან და წადი უდაბურს ადგილს; ეს უდაბნო კი უნდა იქმნეს ქალაქად მოღვაწეთა ღვთისათა, და უკეთუ არ გამოხვიდე, ამ ჯოხზე გაკეთებულ ქრისტეს ჯვარით განვაპო მუცელი შენი და მიგცე შენ საზრდოდ მატლთა». ვეშაპი შეიპყრო შიშმა, დაემორჩილა დავითს, გამოვიდა და წავიდა იქიდგან, მაგრამ ღვთის განგებით გზაზე ვეშაპს დაეცა მეხი და მისგან დაკვესებულ ცეცხლმან დასწვა იგი, მსგავსად იმისა, როგორც ძველ აღთქმაში დაწვა უფლისაგან მოვლენილ ცეცხლმან ღვთის წინააღმდეგნი ისრაელნი (რიცხ. 11, 1—3; რიცხ. 16, 35).

(დასასრული შემდეგში).

შინაარსი: თ. გიორგი ერისთავი და მისი ძე ზაქარია. —სოფ. რუფოთის ეკლესიის კურთხევა.—ჩიკაგოში გამართული კოლუმბის მსოფლიო გამოფენა.—ფუფუნება.—აფხაზეთის რუქა.—არ არის რიგი, ღობე-ყორეს ამოფარებული კაცი ტალახს ისრვიდეს.—მცირე შენიშვნა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ღირსი მამა დავით გარესჯელი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Дозв. цензурою. Кутаисъ, 13 Іюня 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових на Нѣмецкой ул.